მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს სააღდგომო ეპისტოლე



მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს

სააღდგომო ეპისტოლე

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის
მწყემსთმთავრებს, მწყემსებს, დიაკვნებს, ბერ-მონოზვნებს და ყველა ერთგულ შვილს

უფალში საყვარელო ყოვლადსამღვდელონო მღვდელთმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო და დიაკონნო, ღვთისმოყვარე ბერ-მონოზონნო, ძვირფასო ძმებო და დებო!

დღევანდელ დღესასწაულთა დღესასწაულზე და ზეიმთა ზეიმზე, – რომელიც, წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვით, *იმდენად აღემატება ყველა დღესასწაულს, არა მარტო ადამიანურს და მიწიერს, არამედ ყველა საუფლოს და ქრისტესთვის დაწესებულს, რამდენადაც მზე აღემატება ვარსკვლავებს* (ჰომილია 45, წმინდა პასექზე), – დიდი სიხარულით მოგმართავთ თქვენ
უძველესი და მარად ახალი, ყველასათვის ჩვეული და იმავდროულად ჩვენი
გულების მუდმივად აღმაფრთოვანებელი მისალმებით:

ქრისტე აღდგა!

სიცოცხლის დამამტკიცებელი ეს
ორი სიტყვა იმდენ ძალას შეიცავს, რომ მათგან ადამიანთა სახეები სულიერი სიხარულით ბრწყინავენ და პირდაპირ ჩვენს თვალწინ იცვლება ჩვენი გარემო: *ცაი, ქვეყანა და ქვესკნელი აღივსება ნათლითა, ხილული და უხილავი სამყარო ზეიმობს, რამეთუ*
აღდგა ქრისტე, მარადიული მხიარულება (დღესასწაულის კანონი).

მაცხოვრის აღდგომა არ არის მხოლოდ ისტორიული მოვლენა, რომლის შესახებაც წმინდა ტექსტებიდან ვიგებთ. ეს არის რწმენის ქვაკუთხედი და, წმინდა
მღვდელთმთავარ ფილარეტ მოსკოველის სიტყვებით, *მარადიული უწყება, წყარო ფიქრისა, გაკვირვებისა, მადლიერებისა და სასოებისა* (სიტყვა ბრწყინვალე აღდგომის დღეს).

თავისი განკაცებით, ვნებით, დაფლვითა და მესამე დღეს
აღდგომით, მაცხოვარი ანახლებს ადამიანურ ბუნებას, გვათავისუფლებს ცოდვისა და სიკვდილის ძალაუფლებისგან, ადამიანებს უღებს ცათა
სასუფევლის კარიბჭეს და გვიჩვენებს შემოქმედთან ერთობის გზას. სწორედ ქრისტეში,
რომელშიც *შეირიგა ღმერთმა ქვეყანა* (2 კორ.
5:19), ჩვენ ყველას გვაქვს შესაძლებლობა მივიღოთ შვილობა და გამართლება, მოვიპოვოთ მარადიული ცხოვრება, რამეთუ არ არსებობს *სხვა სახელი ცის ქვეშ, ვისი წყალობითაც ვიხსნიდით თავს, გარდა იესოს სახელისა, რომელიც ღმერთმა აღადგინა მკვდრეთით* (საქ. 4:10-12).

მაცხოვრის საფლავიდან აღდგომა სიკვდილს უკვდავებად აქცევს, მწუხარებას – სიხარულად, განწირულობას – იმედად. ქრისტეს ჯვარცმასა და აღდგომაში ჩვენ გვეცხადება უსაზღვრო სიკეთისა და სრულყოფილი სიყვარულის ღმერთი.

ღმერთის ეს ყოვლისმძლეველი სიყვარული, ჩვენ შემოქმედისადმი მადლიერებით
აღგვძრავს და გვაძლევს ძალას,
რომ დავძლიოთ უმძიმესი სულიერი მდგომარეობები და ურთულესი ვითარებები, გვამაღლებს ყოველდღიურობის ამაოებაზე, გვეხმარება ძველი შეცდომების

გამოსწორებაში და ანადგურებს მოწყინებას, რომელიც ხელს გვიშლის სრულფასოვან ცხოვრებასა და სულიერ განვითარებაში.

არცთუ იშვიათად ადამიანები მზაკვარ ზრახვებს ეძლევიან იმის გამო, რომ ბოროტება ბატონობს და ზეიმობს, სიკეთე კი შეუმჩნეველი და სუსტი ჩანს. ჩვენს გონებას ეჭვი ეპარება ქრისტეს მიერ შესრულებული გამოსყიდვის ძალაში, როდესაც ირგვლივ ახლობელი ადამიანების სიკვდილს ხედავს, ესმის ცოდვილთა მარადიული ტანჯვის შესახებ სახარების ფურცლებიდან და, ამასთან, ხედავს, რომ *ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა დგას* (1 იოანე 5:19). მაგრამ ღვთის ეკლესია ათასობით წლის განმავლობაში დამაჯერებლად მოწმობს: მაცხოვარმა დაამარცხა ცოდვა, *მოსპო სიკვდილი და დააცარიელა ჯოჯოხეთი* (წმ. იოანე ოქროპირი. განსასწავლი ქადაგება ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულზე). ქრისტემ დასძლია სიკვდილის გარდაუვალობა და ბოროტების საყოველთაოობა, და ჩვენ მათ დამარცხებას რწმენის თვალებით ვუყურებთ უკვე მომავალი საუკუნის ცხოვრებიდან, პასქალური სიმაღლიდან.

უფლის საფლავიდან აღდგომა გვახსენებს არა მხოლოდ წარსულის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას, არამედ მომავალ საყოველთაო აღდგომასაც მოწმობს, რადგან *თუ გვწამს, რომ იესო მოკვდა და აღდგა, მაშინ ღმერთი იესოში განსვენებულთაც მოიყვანს მასთან ერთად* (1 თეს. 4:14). ჩვენთვის კი აუცილებელია, გვახსოვდეს წმინდა წერილის სიტყვები: *მოთმინება გმართებთ, რათა აღასრულოთ ღვთის ნება და მიიღოთ აღთქმული* (ებრ. 10:36) და უფლის მცნებების შესრულებით, სიყვარულისა და მოწყალების საქმეებით, ეკლესიის საიდუმლო ცხოვრებაში მონაწილეობით, შევუერთდეთ ქრისტეს გამარჯვებას და ბოლომდე მისი ერთგულები დავრჩეთ,

ამიტომ, საყვარელო ძმებო და დებო, დაიცავით მოციქულის მცნება, *ნუ განიშორებთ სასოებას, რომელსაც დიადი საზღაური მოჰყვება* (ებრ. 10:35). დაე, უფალ იესოს აღდგომის დღესასწაული ყოფილიყოს მუდმივი შეხსენება ამ ჭეშმარიტი საღმრთო აღთქმებისა, რომლებიც გვაძლევს იმედს და ძალას ყველაზე რთულ ვითარებებში. დაე, ამ ზეიმმა ყველა ჩვენგანს შთაგვაგონოს რწმენითა და სიყვარულით ცხოვრება, რადგან ვიცით, რომ ვერც სიკვდილი, ვერც ტანჯვა და ვერც ბოროტება ვერ დაგვამარცხებს, თუ ჩვენ ვიქნებით ქრისტესთან და ქრისტეში, რომელმაც დაამარცხა ცოდვა, სიკვდილი და ყოველგვარი უსამართლობა.

მაშ, *ვიზეიმოთ უფლის პასექი წმინდა ცხოვრებით, კეთილზნეობით და კეთილი საქმეებით* (წმინდა მღვდელთმთავარი ათანასე დიდი. მეათე სააღდგომო ეპისტოლე), რათა გარდავიქმნებით რა ქრისტეში ახალ ადამიანებად, *ვემსახუროთ ცოცხალსა და ჭეშმარიტ ღმერთს, და ველოდოთ ზეციდან მის ძეს, რომელიც აღადგინა მკვდრეთით, – იესოს, მომავალი რისხვისაგან ჩვენს მხსნელს* (1 თეს. 1:9-10). ამინ!

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

ქრისტეს აღდგომა

2024 წ.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91721/